ქართველ-სომეხთა მეგობრობარი და საზოგადო მოღვაწე

ზაქარია პეტრეს ძე
გრიქუროვი



1841—1910

დაწერილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.

ტფილისი
1926

ᲚᲘᲚᲝ ᲠᲣᲗᲐᲕᲐ ᲞᲘᲠᲘᲡ
ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲑᲘ

ქართველ-სოციალისტა მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე

ზაქარია პეტრეს ძე

გრიქუროვი

1841—1910

36503

დაწერილი და გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.

ტფილისი
1926

СССР მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის
სახელობის
ბიბლიოთეკა
Библиотека
имени
Акад. И. Гришашвили
Академия наук СССР

კ. წ. დ. ა. შტ. სტამბა, პლეხანოვის გამზირი № 76, — შეკ. № 421.
მთავლიტი № 1160. — დაიბეჭდა 600 ც.

ქართველ-სომეხთ მწიგნობარი და საზოგადო მოღვაწე

ზაქარია პეტრეს ძე გრიქუროვი.

I.

დიახ, სწორეთ ასე გახლავთ ზაქარია გრიქუროვის მოღვაწეობა და მისი ცოლისაც, რითაც შესანიშნავები იყვნენ ისინი თავის დროზე. იმ დროს სომხის მწერლობის და მოღვაწეობის ასპარეზზე იმდენათ მაღლა იდგა ზ. გრიქუროვი, რომ ხალხში სათანადოთ ცნობილი იყო მისი საქმიანობა.

სომხური მწერლობა მდიდარია მწერალთა რიცხვით, წიგნებით. სომხური მწერლობა, წიგნი და მწერალთა რიცხვი წარმოადგენს განსაკუთრებულ სიმდიდრეს. სომხურ ენაზე მოიპოვება აუარებელი წიგნები. ამ პატარა წერილში მარტო წიგნების და მწერლების სახელწოდებასაც კი ვერ დავტევთ იმდენათ მდიდარია სომხური ლიტერატურა და მწერლობა.

რაც შეეხება სომხურ მწერლობის მიმართულებას, იდეურ მხარეს, მისწრაფებას, ეს კი უხილავია. თბილისის სომხური მწერლობა, რომელიც თბილისში დაიბადა და აღორძინდა 1828 წელს, კლერიკალურ-ნაციონალურ-ბურჟუაზიული მიმართულებისა არის. ასეთია ეჩმიაძინის მწერლობა; ასეთივე გარდამეტებულ კლერიკალურ მიმართულების არის მხთარისტების მწერლობა, რომელთა მამამთავრად მათში ალიშანი ირიცხება; ასეთივე კლერიკალურ-ნაციონალურია ვენის მწერლობა და თვით რუსეთის, ქ. მოსკოვის და პეტერბურგის, სომხური მწერლობაც.

ყველგან და ყოველთვის ამ სომხური მწერლობის ბატონ-პატრონი იყვნენ სომხის მღვდლები, კათოლიკე ბერები, რომლებიც სწერდნენ და ბეჭდავდნენ. როგორც ვსთქვით, მათი მიმართულება იყო მკვდარი, უშინაარსო, სომხურ კლერიკალურ-ნაციონალურ და იეზუიტური.

თბილისში ერთად-ერთი გაზეთი „მეღუ ჰაიასტან“ (სომხეთის ფუტკარი), რომელიც დაარსდა 1857 წელს, ისიც ცხარე კლერიკალურ-ნაციონალური მიმართულების იყო. ერთი სიტყვით, ყველგან და ყოველთვის სულ სამღვდელეობას გაჰყვანდა თავისი აზრები. ისინი ქადაგებდნენ სომხის ეკლესიის ხელშეუხებლობას, მათ სომხური ეკლესიის გარეშე სხვა არავინა სწამდათ; მათ სომეხთ კათოლიკენი, სომხის პროტესტანტები და სომხის მართმადიდებელნი სომხებათ არ მიაჩნდათ,—სომხის რჯულისა და ეკლესიის გარეშე არავინ არ შეიძლება იყოსო. ამიტომაც მწერლობა სასტიკათ იცავდა ეკლესიის ხელშეუხებლობას, მის სიმდიდრის შეძენას, მის გაძლიერებას და ყველგან სომხური ეკლესიების შენებას მრავლად, ამიტომაც მოხდა, რომ მათმა ძალამ ასე გაამრავლა სომხური ეკლესიები თვით თბილისშიაც.

ძლივს, როგორც იქმნა, სომხურ მწერლობას და სომხებში მოქალაქურ აღორძინების მიმართულებას დასაწყისი მიეცა 1870 წელს.

იმ დროს გაჩნდნენ სომხის ახალი იდეური მწერლები.

ესენი იყვნენ გრიქორ არწრუნი, გაბრიელ სუნდუკიანცი (პიესა „პეპოს“ დამწერი), რაფი, მსახიობი ამერიკიანი, ჩიმიშკიანი და სხვანი. რომლებიც კი გაჰყვნენ სომხურ მწერლობაში ცოცხალ აზრების გატარებას, ამისთვის გრ. არწრუნმა თბილისში გაზეთ „მშაკი“-ს გამოცემა დაიწყო 1872 წელს, რომელშიაც იგი ყოველთვის სომხის ღატაკ ხალხის ცხოვრების შესახებ სწერდა და მათ ინტერესებს იცავდა.

გრ. არწრუნი თავის მწერლობაში პირველ ხარისხში აყენებდა სომხის ერის ქონებრივათ აღორძინების წარმატების, წინსვლის, ეკონომიურათ მოღონიერების, განათლების და პოლიტიკის საკითხებს. ეს, რასაკვრელია, ასეც უნდა ყოფილიყო.

გრ. არწრუნის ასეთი მიმართულება იმ დროის მეორე გაზეთ „მეღუ ჰაიასტან“-ს არ მოსწონდა, ამიტომ მათ შორის ატყდა ცხარე პოლემიკა. „მეღუ ჰაიასტან“ იცავდა სომხის ეკლესიის წესს, რომლებიც ამბობდნენ, რომ სომხის ნაცია სომხის ეკლესიამ შეინახაო, რის გამო, გარეშე ამისა სომხის არსებობა შეუძლებელიაო. ამასვე ამბობდნენ სომხის კათოლიკებზე და პროტესტანტებზე, რომ ისინი არ შეიძლება ეკლესიის გარეშე იყვნენო.

გრ. არწრუნის გაზეთი „მშაკ“ი ამის წინააღმდეგი იყო; იგი ნათელს და გარკვევულ პასუხებს აძლევდა ამათ და იმ აზრს ავრცელებდა რომ, დროა სომხური მწერლობა ასეთ კლერიკალობას და ეკლესიის მიმდევრობას თავი გაანებოს, დროა, რომ მათ ეკლესიების გარშემო სიარული მოშალონ და ხალხის გაჭირებაზე და ცხოვრებაზე ილაპარაკონო.

ამ კილოთი ლაპარაკი ეკლესიის მიმდევარ მწერლებს ლახვარს სცემდა და ისინი გრ. არწრუნსა და მის თანამშრომელებს ხატავდენ სომხის ერის მტრად, სომხის რჯულისა და ეკლესიის უარისმყოფელათ, სომხური ნაციონალური მიმართულების მგმობლად და მტრებად.

თუმც ესეც არ იყო სწორე და მართილი, სადაც საჭირო იყო გრ. არწრუნი იქ სომხის ნაციის ინტერესებს სასტიკათ იცავდა, დიდის სიფთხილით და იქ იგი არც სომხის ერის ინტერესებს სტოვებდა უყურადღებოთ და ეკლესიას და აგრეთვე არც სომხის ჩარჩვაჭრებს არ უშლიდა ხელს. მათ ქონებრივათ გამდიდრებას, მაგრამ ეს მათი დაცვა იყო სწორეთ თავთავის ალაგის და შესაფერის მიმართულებით და არა გარდამეტებულის ფანატიკურის და პატრიოტული სიცხარით. ასე და ამ გვარათ, გრ. არწრუნი და მისი გაზეთი „მშაკიც“ ძლიერ ხშირათ ადვილად იცავდა ხოლმე სომხის ვაჭარ-ბურჟუების ნაციონალურ მიმართულებას და მათ დაცვას და ხელ შეუხებლობას, რაც უფრო ნაციონალური კილოთი იყო მორთული და გამოხატული რაც სომხის ერში უფრო დიდ ზეგავლენას ახდენდა.

ასე და ამგვარად, სომხურ მწერლობაში გრ. არწრუნის გაზეთი „მშაკ“ი და მისი თანამშრომლებიც ნელ-ნელა იხრებოდნენ სომხურ ნაციონალურ-ბურჟუაზიულ მწერლების გარშემო. უიმისობა არც

შეიძლებოდა, რადგან გრ. არწრუნს ბოლო დროს სამწერლო საქმეები ვერ წაუვიდა კარგათ, ქონებაც ხელიდან ეცლებოდა, მამულები ბანკმა გაუყიდა და ცარიელ გაზეთ „მშაკი„ს ანაბარათ დარჩა. გაზეთი კი იმდენს ვერ იძლეოდა შემოსავალს, რომ გრ. არწრუნს კარგათ ეცხოვრა.

ის კი უნდა ითქვას, რომ სომხის ერის და თვით სომხური ვაჭრობის წინაშე მიუძღვის მეტად დიდი სამსახური და ამაგი, ამიტომაც იყო, რომ ბოლო დროს გრ. არწრუნი სომხის ბურჟუა-კლერიკალებისაკენ გადიხარა. ასე და ამ გვარათ ეს ერთად-ერთი მაგალითი სომხურ მწერლობისა, ერთი გონებით წარმომადგენელი გაზეთ. „მშაკისა“ გახდა ისეთივე მოქალაქე ბოლო დროს, როგორც სხვანი იყვნენ სომხის საეკლესიო პატრიოტები, საეკლესიო ნაციონალისტები, ბურჟუაზიული პატრიოტები.

ამგვარად, მუელი კრებული გრიქორ არწრუნისა გახდა მის მსგავსათვე სომხური ცნობილი ნაციონალ-კლერიკალურ გაზეთის მომხრენი და თანამგრძნობელნი.

ეს დასაბუთდა მაშინაც, როცა გრ. არწრუნი მოკვდა; მისი სხეთლი მოიტანეს ვანქის საყდარში, იქ მოზიდეს ექვსი ბარდახინით გვირგვინები. მომზმდავები სულ მღვდლები იყვნენ და სომხის ბურჟუაზიულ-კლერიკალურ მიმართულების პირები.

II.

აი ასეთ დროს, ასეთ სომხურ მწერლობის უხალხობაში სცხოვრობდა და მოქმედებდა ვინმე პედაგოგი ზაქარია პეტრეს ძე გრიქუროვი, რომელიც, როგორც წმინდა სომეხი და სომხურ ერის და გვარის მოყვარე, იგი თავის დროის კვალად დიდათ განსხვავდებოდა სომხურ ნაციონალურ-კლერიკალურ მიმართულებისაგან, იგი თუმცა თავის დროის ყველა ამ ცნებათა ამსრულებელი იყო სომხურ მწერლობის და საზოგადო მოღვაწეობის, მაგრამ იმავე დროს, მას ჰქონდა თავის რწმენა და განსაკუთრებული მიმართულება მისი გატარება სომხის ერის ცხოვრებაში, რაც იმ დროს სომხებში ეს იშვიათი იყო, უმაგალითო და საყურადღებო ბევრი საგნებით.

ზაქარია გრიქუროვი თავის დროის კვალად არის იშვიათი მოვლენა სომხურს მწერლობაში. ეს კაცი თავის იშვიათობით ისეთი პიროვნება ვახლავთ, რომ იმ დროს მისი ტოლი სომხებში არავინ იყო. ასეთი პიროვნების გაცნობა ჩვენთვის არ იქნება მეტი, ვინაიდგან იგი გამოაჩენს, რომ ჩვენ ვართ დამფასებელი ყველა პარტიის წევრების და პატივისმცემელი ყველას ამიგისა და დაუღალავი შრომისა.

ამიტომაც გავბედეთ და მოვიხსენიეთ აქ ეს პატიოსანი ადამიანი ზაქარია გრიქუროვი, რომელიც ჩვენი დროის საზოგადოებისთვის საყურადღებოს უნდა წარმოადგენდეს.

III.

ზაქარია პეტრეს ძე გრიქუროვი დაიბადა 1841 წ. ქ. თბილისში, ავლაბარში, ხოჯივანქის უბანში. სწავლა მიიღო იმ დროის თბილისის კომერციულ სასწავლებელში. სწავლის დამთავრების შემდეგ ის შევიდა თბილისის იმ დროინდელ. კლასიკურ გიმნაზიაში. იქ სწავლა დაამთავრა მან 1863 წ. ვეოცხლის მენდლით და მთავრობის ხარჯით იგი გაგზავნეს პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც შეისწავლა ბუნების მეტყველება და პედაგოგიკა. სწავლა დაამთავრა უნივერსიტეტში 1867 წელს და დაბრუნდა თბილისში.

ზ. გრიქუროვი სულ ახალგაზრდა იყო და ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლობის დროს ეტყობოდა საზოგადოებრივი საქმეების და მოღვაწეობის უნარი და პატივისცემა, მდაბიო ხალხთან დაახლოება და მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლა.

ამიტომაც იგი გიმნაზიაში თურმე სხვადასხვა კარგ წიგნებს კითხულობდა. ასეთ შრომის და წიგნების კითხვის გარდა იგი იყო ისეთი ცოცხალი აზრების, რომ გიმნაზიაში იგი ქართულ ენასაც სწავლობდა თავის სურვილით, თუმცა იმ დროს, სომხებისთვინ ქართული ენის სწავლება სავალდებულო არ იყო. ზაქ. გრიქუროვი კი თავის ნებით სწავლობდა ქართულს. უნივერსიტეტში ყოფნის დროს მან კარგათ შეიგნო, თუ ახალგაზრდა, განათლებული კაცი, როგო-

რი უნდა იყოს ცხოვრებაში და საზოგადოებაში, რას უნდა აკეთებდეს და სხვა. საკვირველი ის არის, რომ მას ყველაზე მეტათ გულში გაღვიძებია ღარიბ-ღატაკი ხალხის ცხოვრების პირობები, მათი გაუნათლებლობა, უსწავლელობა და სხვაც ბევრი ასეთები, რაშიაც გლეხკაცობის და მუშა ხალხის ცხოვრება გახვეული იყო შიგ.

ამიტომაც თბილისში დაბრუნების შემდეგ ზ. გრიქუროვი პირველ დღიდან მიეცა თავის იდეალების თანახმად მოქმედების და ხელმოკლე ხალხის მზერას და გაცნობას, როგორც შეგნებული მოქალაქე პირველ დღიდანვე ცხოვრებაში გამოსვლისას, თავის მოვალეობათ დაისახა ის სამსახური, რაც მაშინ ცნობილი იყო რუსეთის მე-60 წლების მწერლების და მოღვაწეებისაგან, ამიტომაც იგი ჩაება პედაგოგიურ ასპარეზზე და პირველ დღიდანვე დაიწყო მასწავლებლობა. ერთ წერილში, რომელიც ეკუთვნის ყაზარ კარაპეტიანს, რომელიც მის ცხოვრებას ასწერს, ამბობს: „ზ. გრიქუროვის მთელი ცხოვრება დაკავშირებული იყო აღზრდა-განათლების დაწესებულებასთან, როგორც სუფთა, უანკარო საზოგადო მოღვაწე“-ო.

ჭეშმარიტად, რომ ის დიდი კაცია, იგი ღირსია დიდი პატივისცემის და სიყვარულის. ეს პედაგოგიური ასპარეზი ისეთი წმინდა საქმე იყო, რომ მან ახალგაზრდობიდგან დაისახა მისი სამსახური და ეს აღთქმა შეასრულა კიდეც. ამის საფუძვლად ჩვენ დავასახელებთ ორ მაგალითს, დანარჩენი ცნობები არ არის შეკრებილი, ვინაიდან სომხურ ენაზე დღემდისაც არ დაწერილა მისი ბიოგრაფია და წერილი. გაიანეს ქალთა სკოლა ამის მზრუნველობით დაარსებულა, იგი ყოფილა თურმე ამ სკოლის სულის ჩამდგმელი და მასთან გულწრფელი მასწავლებელი, ამღზრდელიც ამ სკოლაში. იგი იყო 30 წელი მასწავლებლათ და ისიც უფასოთ. ამ სამსახურს ის სრულიად უფასოთ და უსასყიდლოთ ასრულებდა. მისი ნაცნობნი ამბობენ: „სული და გული შესწირა ამ საქმესო“.

ამ მასწავლებლობის გარდა არც სომხის ვაჟებისთვის დაუკლია თავის სამსახური და სიკეთე გაიანეს ქალთა გიმნაზიაში. ის ნერსესიანის სემინარიაშიც მასწავლებლობდა მთელი 12 წელიწადი უფასოთ. იმ ხანაში, რა თქმა უნდა, ესეც დიდი სიკეთე იყო. ამავე დროს

სხვა სასწავლებლებზედაც ეჭირა თავისი მზრუნველი თვალი და ყურადღება და შეძლების დაგვარათ უწევდა პედაგოგიურ დახმარებას.

სხვათა შორის მას დიდი დაახლოვებული კავშირი ჰქონდა ილია წინამძღვარიშვილთან და მის საგურამოს წინამძღვარიანთ კარის სკოლასთან. ეს სკოლა ქართული სკოლა იყო და მიუხედავათ იმისა რომ ზ. გრიქუროვი სომხის პედაგოგი იყო, ამ სკოლას გარჩევას არ აძლევდა და ქართულ სკოლასაც იმავე სიყვარულით ემსახურებოდა, როგორც სომხურს. მაინც უნდა ითქვას, რომ ზ. გრიქუროვი ამისთანა საქმეებში სომხის და ქართული სკოლების გარჩევა არ იცოდა ყველას ერთგული ქომაგი იყო და დარაჯი. ყველა ასეთ სკოლებს ის დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა, ისე როგორც ეს სკოლისთვის საჭირო იყო.

ეს თვისება ზაქარია გრიქუროვს თავის სიკვდილის უკანასკნელ დღემდის შერჩა უცვლელათ. ის ყოველთვის ერთნაირად სცემდა პატივს, დახმარებას უწევდა როგორც სომხურ სკოლებს, ისე ქართულ და რუსულ სკოლებსაც. ასეთივე გულწრფელი იყო ყველა ტომის მოწაფეებისადმიც. ამ გარემოებას კიდევ ხელს უწყობდა მისი კარგი პედაგოგიური მომზადება, რომელსაც კარგათ გაეგებოდა ქართული წერა-კითხვაც.

ამის ცხად საბუთს იძლევა ის გარემოებაც, რომ მისგან სომხურ ენაზე ბევრი პედაგოგიური წიგნები არის დაწერილი და გამოცემული, ამნაირი წიგნების ნიმუშები ქართულ ენაზედაც და რუსულზედაც მოგვეპოება მისგან გამოცემული და დაბეჭდილი, უმთავრესად პედაგოგიურ მიმართულებისას. სკოლებში მოსწავლე ღარიბ-ღატაკ შეგირდებს თავის დახმარებას არ აკლებდა, შეუძლებელი იყო რომ სკოლაში მისი დახმარებით რამდენიმე მოსწავლე არა ყოფილიყოს და ბევრს იგი თავის ფულითაც ზრდიდა, ინახავდა, თუმცა თვითონაც მუდამ გაჭირებაში იყო, მაგრამ მოსწავლეებისათვის ისე შესტკიოდა გული, რომ იგი ღარიბ-ღატაკ მოსწავლეებს უყურადღებოთ ვერ დასტოვებდა.

ყასარ კარაპეტიანი მოწმობს შემდეგს: „ზაქარია გრიქუროვი თავის ნათესავების გარდა სხვების დამხმარეც იყო. იგი თავის ხარ-

ჯით ზრდიდა ზოგიერთ ქალებს და ვაჟებს. ერთმა ამის გაზრდილმა და განათლებულმა კაცმა არამ არაქელიანცმა, ზაქარია გრიქუროვის დასაფლავების დროს გაზეთ „ჰორიზონში“ მოათავსა წერილი, განსვენებულის შესახებ, სადაც მის იდეურ მიმერთულებას და იმ საკაცობრიო შრომას ეხებოდა, რითაც ზ. გრიქუროვს მიუძღოდა ხალხში და საზოგადოებაში“.

ასეთი მიმართულების კაცები მაშინ ერთობ იშვიათი იყო. სომხურ მწერლობის დარგში ასეთი არავინ იყო, ვინც იყვნენ ყველა ისინი საეკლესიო პატრიოტები, ეკლესიური ნაციონალისტები იყვნენ ეკლესიის და სამღვდელოების მოყვარულნი და სხვა ამისთანეების. ასეთ პირებს საქმე არ ჰქონდათ არც სომხის ღარიბ-ღატაკებთან, არც გლეხკაცობასთან და არც მუშა ხალხთან. ერთად-ერთი მაგალითი იყო, რომ გრიგორ არწრუნის გაზეთს სახელათ ეწოდა „მშაკ“-ი, თუმცა გაზეთის ამ სახელში არაფერი არ ეყარა. ყველაფერი განგებ იყო შეთხზული, მოგონილი ნაციონალური მისწრაფებით. იმ დროს ერთად-ერთი კაცი გახლდათ ზ. გრიქუროვი, რომელიც თავისი იდეური მიმართულებით დიდათ განირჩეოდა დანარჩენებისგან. მოკლეთ და თამამათ ითქმის, რომ ზაქარია გრიქუროვი პედაგოგიკის ასპარეზზე მოწოდებული, ის ცხადათ იყო იმ თანასწორუფლებიანობის იდეის ამსრულებელი, რასაც დღეს კომუნა ეწოდება. ასეთი ქველმოქმედებით ის ისეთი გატაცებული იყო რომ სხვისთვის თავის პერანგსაც კი არ იშურებდა, ტანიდან იხდიდა და სხვას აცმევდა.

ამ კაცის ერთი ბედნიერება ის იყო, რომ თვით მეუღლეც თავის ხასიათის შეხვდა, თავისებური გულკეთილი და კაცთმოყვარეობით სავსე. ეს ქალი გახლავთ სოფიო ივანეს ასული ნადიროვი-გრიქუროვისა.

ცოლქმარნი ისეთი თვისებისანი აღმოჩნდნენ, რომ ყველა მათი მოქმელებანი იყო პატივსადები: მათ ყველაზედ მეტათ უყვარდათ ღარიბ-ღატაკთა შვილები, რომელთაც დიდ დახმარებას უწევდნენ. ამგვარათ, მათ ბევრი აღზარდეს სხვის შვილები და ნათესავებისაც.

ასე და ამგვარათ გაატარეს მათ თავიანთ სიცოცხლე და ერთმანეთში რაიმე საყვედურიც კი არა ყოფილა ამ ნიადაგზე, პირ-იქით

ერთმანეთს თითქოს ეჯიბრებოდნენ ქველმოქმედებაში. როგორც ვსთქვით, მათი ოჯახი, სახლი, ყოველთვის საავე იყო ღარიბ, ხელმოქლე გლეხკაცთა შვილებით, როგორც ქალებით, ისე ვაჟებით, რომლებიც პირდაპირ ამათი დახმარებით სცხოვრობდნენ და მათივე ფულებით იზრდებოდნენ და იწურთნებოდნენ. ასეთების რიცხვი მცირე არ ყოფილა და მათით ბევრს გაჭირვებულს გაუმართნია ხელი, მერე ისიც სომხებს, რომლებიც უფრო ყველაზედ მეტი იყვნენ ღარიბ-ღატაკნი.

ზაქარია გრიქუროვისთვის კი ეს პირველი საქმე იყო სომეხთათვის. ის არაფერს ზოგავდა. ეს რომ მართალია, ამას დაამტკიცებს ზაქარია გრიქუროვის სამწიგნობრო მოღვაწეობაც, რასაც მოვიყვანთ აქ.

ზაქარია გრიქუროვი, როგორც პროგრესიული რეალისტი, იმავ თავიდანვე მიმდევარი იყო როგორც პედაგოგიური განვითარების, ისევე იყო მიმდევარი სამწიგნობრო საქმის, მის გავრცელებას უბრალო ხალხში, სახალხო წიგნების ვრცელების და სხვაც ბევრნი ასეთნი. ამიტომაც თბილისში ჩამოსული ახალგაზრდა კაცი პედაგოგიურ განვითარების უღელში ატარებდა დროს, ასევე ის დაუახლოვდა ადგილობრივ მწიგნობრობის საქმესაც და ნამეტურ წიგნების მაღაზიების გახსნის და გამრავლების და მასთან ადგილობრივ ენებზე წიგნების ბეჭდვის საქმესაც. ამიტომაც მოახერხა ზაქარია გრიქუროვმა და ცნობილ ძველს პედაგოგს ვართანოეს შეუამხანაგდა და მათ ხიდის ყურზე გახსნეს წიგნის მაღაზია 1867 წელს.

ამ წიგნის მაღაზიამ თავის მიზნათ დაისახა სომხურ-ქართულ-რუსულ იაფ ფასიანი წიგნების ბეჭდვა. ამ მაღაზიამ მცირე ხანს იარსება (1867—1872 წ.) და ამ ხნის განმავლობაში სომხის და ქართველ ერის წინაშე კარგი ღვაწლი დასტოვა, კარგი სამსახური გაუწია ხალხის საქმეებს და ნამეტურ წიგნების, გაზეთების და მის ხელის შეწყობით.

1872 წელს ვართანოვს და გრიქუროვს რაღაც უთანხმოება მოუხდათ და წლის ბოლოს ისინი გაიყარნენ და წიგნის მაღაზიაც დაკეტეს. ეს გარემოება თბილისის ხალხისთვის დიდ დანაკლისს წარ-

მოადგენდა. ამ გარემოებას ზაქარია გრიქუროვიც კარგათ გრძნობდა და ის თუმცა წიგნის მაღაზიას მოშორდა, მაგრამ იმავე დროს ეს სამწიგნობრო საქმის მიმდევრობა მას არ დაუტოვებია და 1893 წ. ზ. გრიქუროვმა გახსნა საკუთარი წიგნის მაღაზია, ისევ ძველ ალაგს რომელიც უკანასკნელ დრომდის არსებობდა.

1923 წელს ამ მაღაზიას შეუსრულდა 50 წელიწადი. ამ მაღაზიის არსებობის შესახებ მე თავის დროზე წერილი დავსწერე და დავბეჭდე გაზეთ „ტრიბუნაში", სადაც ავღსენი ამ მაღაზიის არსებობის საქმე და მისი სამსახურის მნიშვნელობა როგორც სომხის ერის წინაშე აგრეთვე ქართველების და რუსებისაც.

1873 წელს მან გამოსცა პირველათ ქართულ ენაზე იაკობ გოგებაშვილისაგან შედგენილი „დედა ენა", რომელიც ქართული სურათებიანი წიგნის გამოცემა პირველი იყო; ამანვე გამოსცა მისივე „ბუნების კარი", საყმაწვილო წიგნაკი „კონა", საკითხავი წიგნაკი „კუნწულა". ამათ გარდა „რუსკოე სლოვო„ I და II ნაწილები მისივე შედგენილი დასტამბა „საქართველოს რუქა". ასევე გამოსცა სხვა ქართული წიგნებიც: ქუთათელაძის წიგნი, იოსელიანისა, ნატროშვილისა, ჯანაშვილისა და ალ. ყაზბეგის მოთხრობა „ელგუჯა".

ამ წიგნების გამოცემამ მას დიდათ აზარალა. ამ ზარალის გამო უნდი მოვიყვანო შემდეგი: მოთხრობა „ელგუჯა" პირველათ გაზეთ „დროებაში" იბეჭდებოდა ფელეტონებათ; ამის ბეჭდვის დროს გაზეთის ფურცლებში ალაგ-ალაგ ცენზურა ბევრსა შლიდა, სრულს, უკლებლივ ფურცლებს კი, ხელნაწერს, ალ. ყაზბეგი იტოვებდა. ასე რომ ამ გვარათ მან აკინძა „ელგუჯას" ისეთი წიგნი, რომელიც ცენზურისაგან არ იყო წაშლილ-დაკლებული.

ალ. ყაზბეგმა ამ წიგნის გამოცემა სთხოვა ზ. გრიქუროვს, ამანაც იკისრა მისი გამოცემა და ცენზურამაც ნება დართო „ელგუჯა"-ს წიგნათ გამოსვლას. წიგნი გამოსცა ზ. გრიქუროვმა 2400 ცალი, წარადგინეს ცენზურაში და როცა ცენზორმა შეამჩნია იქ გაზეთში ბეჭდვის დროს ამოშლილი ტექსტი, წიგნი დაიჭირა და მთელი გამოცემა დასწვეს. ამით ზ. გრიქროვმა ნახა ზარალი. ასე და

ამგვარათ ზ. გრიქუროვი ბეჭდავდა ისეთ წიგნებსაც კი, რომლებიც მონარქიულ მთავრობისთვის მიუღებელი იყო.

ასე და ამ გვარათ ზ. გრიქუროვი თავის შეძლების დაგვარად ისეთი მოღვაწე იყო, რაც მონარქიულ ცენზურისათვის მოსაწონი არ იყო და არც მათი მორჩილი პატივისმცემელი იყო იგი, რასაც ცხადათ ამტკიცებს „ელგუჯას“ გამოცემის ამბავი. ასეთ სამსახურის შემდეგ ცხადია, რომ ზ. გრიქუროვი ჩვენ უნდა ვაჯუთნოთ უაღრესათ მოქალაქობრივ მიმართულების მიმდევარს და მის პატივისმცემელათ, როგორც, მისი იდეური საქმეებიც ამასვე ასაბუთებენ, რაც ცხად საბუთს გვაძლევს ჩვენ, რომ იგი ვაღიაროთ სომხის ერის და სომხურ მწერლობაში ჩუმ კომუნისტად.

აი, ასეთია ზ. გრიქუროვის მოღვაწეობა და შრომის ისტორია.

ზ. გრიქუროვი გარდაიცვალა 1910 წელს ნოემბრის 10-ში. განსვენებულის წიგნის მაღაზია როდი იყო მარტო სავაჭრო მაღაზია, არამედ იგი იყო სამწიგნობრო დარბაზი, სადაც ზ. გრიქუროვთან იკრიბებოდნენ ყველა მისი ნაცნობები, საზოგადო მოღვაწენი, როგორც ქართველები ისე სომხები და იქ მაღაზიის ოთახში ლაპარაკს მართავდენ საზოგადო საქმეების შესახებ. ამ კრებებისა და მსვლელობის გარეშე, ეს მაღაზია სხვაგვარათაც იყო სეშანიშნავი და ამაგიანი,—გაჭირვებულთათვის თავშესაფარი.

ზ. გრიქუროვი დაქორწინებულ იქმნა, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, სოფიო ივანეს ასული ნადიროვის ქალზე 1886 წელში. უნდა ითქვას, რომ ეს ქალიც სწორეთ ზ. გრიქუროვის აზრების გამოდგა, ისეთივე მომქმედი, როგორც თვით ზ. გრიქუროვი იყო: საზოგადო საქმეთა მოყვარული, ყველას პატივისმცემელი და ღარიბ-ღატაკთა მოყვარული.

ამის მაგალითების მოთვლას რომ შეუდგე, ეს ერთობ შორს წაგვიყვანს, არც არის საჭირო ამის აქ ჩამოთვლა, ეს ბევრმა სომხობამ იცის.

სოფიო ივანეს ასული თუმცა უშვილო იყო, მაგრამ იმის სახლში არ გამაილეოდა სხვის შვილები, რომელთაც ისინი ზრდიდენ. სოფიო ასეთების აღზრდაში სრული გულშემატკივარი და მორჩილი

დედა იყო მათი. ამასთანავე მასწავლებელიც, რადგან მასაც სათანადო განათლება ჰქონდა მიღებული.

ზოგიერთი სოფიოს აზღრდილი ქალებიც დაუქორწინებია და გაუთხოვებია და მრავალი ასეთი სიკეთე მიუძღვის, თუმცა არც თითონ იყო მდიდარი, მაგრამ სამაგიეროთ მდიდარი გული ჰქონდა. პატივცემული სოფიო ივანეს ასული ისეთი ადამიანი არის, რომ ის როდესაც ნახავდა გაჭირებულ ადამიანს, უსათუოდ მის სიბრალულში შევიდოდა, ან თუ სადმე ავადმყოფი ენახა, არ დასტოვებდა უპატრონოთ და დახმარებას გაუწევდა.

ჩვენ აქ არ ჩამოვთვლით მის ღვაწლს მხოლოდ ვიტყვით, რომ ეს ქალი კარგი ამხანაგი იყო თავის ქმრისა, მისი დიდი პატივისმცემელი და მისი მოღვაწეობის დამფასებელი. ასეთ სამსახურით კი მათ ვერაფერი შეიძინეს და ვერც სიკეთე ნახეს თავის ცხოვრებაში, რადგან რასაც შოულობდნენ, სხვაზედ ხარჯავდნენ.

ამიტომ ზ. გრიქურეოვის სიკვდილის შემდეგ მისი მეუღლე დარჩა უმწეო მდგომარეობაში, თუმცა ქმრისგან წიგნის მაღაზია დარჩა, მაგრამ მის შენახვას უნდოდა თანხა და ეს კი სოფიოსთვის ძნელი იყო, მაგრამ იგი მაინც მაღაზიის ხარჯს ფარავდა შინაური შემოსავლიდან და ზაქარია გრიქუროვის სახელის სახსოვრათ მაინც მაღაზიას ინახავდა და არა ჰკეტავდა.

ამიტომ მაღაზიის ხარჯების გამო გასავალი დიდი ჰქონდა და შემოსავალი კი ცოტა. ეს გარემოება მას დიდათ უჭირებდა საქმეს და ამავე დროს მას სომხის და ქართველი საზოგადოება გულგრილათ უყურებდა და არავინ არაფერ ქომაგობას არ უწევდა.

1921 წელს მოხდა საქართველოს საქართველოს გასაბჭოება და მას შემდეგ სოფიო გრიქუროკს ჩამოართვეს თავისი მთელი მამულები, ნორმის მიუღებლათ, რის შემდეგ უფრო გაჭირებაში ჩავარდა. დღეს ეს ადამიანი, ყოველგვარ სახსარს მოკლებული, უკიდურეს გარემოებაშია. დუქნის ქირის და სხვადასხვა ხარჯების დასაფარავათ, ის სახლის ნივთებს ჰყიდის და იქიდან აღებული ფულებით იხდის. მე, ქართველ კაცს, როდესაც ვსწერ ამ წერილს, მცხვენია ჩემი თავის და არ ვიცი რით დავეხმარო სოფიო გრიქუროვისას იმ კეთილ

და ქველმოქმედულ საქმისთვის, როგორც ზაქარია გრიქუროვი და ეს ქალი ეწეოდენ საზოგადო სამსახურს 50 წლის განმავლობაში.

საბრალოა ის ამნაირ ცხვრების პირობებში; ის დახმარების ღირსია. ეს მოხუცებული საწყალი ადამიანი ერთი და ერთი რაკი მიჩვევია წიგნის მაღაზიაში ჯდომას, ამიტომ თავის ქმრის სახელზე ინახავს ამ მაღაზიას, თორემ ამ ცხოვრებაში მყოფ ადამიანმა შეუძლებელია, რომ შეინახოს ეს წიგნის მაღაზია, რასაც უკვე 53 წელი გასვლია, რაც ის არსებობს.

ეს ქალი საჭიროებს რომ ამ მოხუცების დროს მაინც იქნეს განთავისუფლებული თავის ისტორიული წიგნის მაღაზია ყოველგვარ ხარჯებიდან და გადასახადებიდან, როგორც ხალხის წინაშე დამსახურებელს. ის ამის ღირსია.

იმედია, რომ ამ ქალს უყურადღებოთ არ დასტოვებენ.

—

ასე და ამ გვარათ ზაქ. გრიქუროვი სომხის ერის სამსახურში დაბერდა და მით დაღლილი გარდაიცვალა.

მან დასტოვა თავისი მეუღლე და მასვე ჩააბარა თავისი ისტორიული წიგიის მაღაზია და სთხოვა მას, რომ ეს მაღაზია შეენახა ბოლომდე.

ღარიბი და მოხუცებული სოფიოც ინახავს ამ ისტორიულ მაღაზიას და მით ასრულებს თავის ქმრის დავალებას. ეხლა ის დიდ სილატაკეშია ჩავარდნილი, ცხოვრობს ჩაით და შავი პურით. ამას წინეთ „სობესიდან“ კ. ხომერიკმა მისცა 30 მ. ერთდროული დახმარება ალმოუჩინა, რითაც სული მოიბრუნა.

ეხლა სომხის ერის ვალია, რომ მათ გაიხსენონ ზ. გრიქუროვის ამაგი და მის განწირულებაში ჩავარდნილ სოფიოს სათანადო დახმარება გაუწიონ. იმეოია, რომ სომხებს მიჰბაძავენ ქართველებიც, ვისაც სმენა და გაგონება აქვს, მათთვის ესეც კმარა, რომ განწირულებაში ჩავარდნილი სოფიოს უშველონ და გაჭირებიდგან იხსნან ის.

65
ქ 551

ფასი 20 კაპ.